

## დამცველის პროცესუალური მდგომარეობა

აქტუარდია ირინა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა

### ანოტაცია

ნაშრომში ეხება სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ნაშრომში დამცველის პროცესუალური მდგომარეობა განხილულია სისიხლის სამართალწარმოებაში დამცველის როლისა და დანიშნულების თვალსაზრისით. მოყვანილია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები ამ საკითხზე. მოსაზრებებლის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია სამი პოზიცია:

1. დამცველი ბრალდებულის წარმომადგენელი;
2. დამცველი პროცესის დამოუკიდებელი მონაწილე და იმავდროულად ბრალდებულის წარმომადგენელი;
3. დამცველი სასამართლოს თანაშემწე.

გამოთქმულია მოსაზრებები დამცველის სამართლებრივ სტატუსზე, არის თუ არა დამცველი პროცესის დამოუკიდებული სუბიექტი და რა მოცულობით არის განსაზღვრული მისი დამოუკიდებლობა, რა შემთხვევაშია დამცველი ბრალდებულის წარმომადგენელი, არის თუ არა დამცველი სასამართლოს თანაშემწე და სხვა.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია რუსეთის, პოლონეთის, გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში გამოთქმული მოსაზრებები განსახილველ საკითხზე. გაანალიზებულია ბრალდებულისა და დამცველის ურთიერთობის, დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით პოზიციებში შეუთავსებლობის, კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობის და სხვა საკითხები და გამოთქმულია წინადადებები და მოსაზრებები.

**საკუანძო სიტყვები:** დამცველი, სისხლის სამართლის პროცესი, თეორია, დამცველის როლი.

სამართლებრივ სახელმწიფოში პიროვნების, მოქალაქის პრომატი აღიარებულია და გამოიხატება სამართლის თეორიის მუდმივ განახლებაში – “ძალის სამართალი” გადაიქცეს “ადამიანის სამართლად”. ადამიანის უფლებათა შესახებ მრავალი მოქმედი საერთაშორისო აქტის ცნობა და მათთვის პრიოროტეტული მნიშვნელობის მინიჭება ქვეყნის სამართლებრივ ნორმათა იერარქიაში. მოითხოვს მათ რეალიზაციას პრაქტიკულ საქმიანობაში და არა მხოლოდ დეკლარირებას. სახელმწიფოში სამართლის ნორმათა შესრულებაზე კონტროლის, ზედამხედველობისა და იძულებისათვის შექმნილია სამართლებრივ ორგანოთა სისტემა. სახელმწიფოს ინტერესებში შექმნილია და მოქმედებს მრავალრიცხოვანი ძალოვანი სტრუქტურები. საზოგადოების ინტერესებში კი შედის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შექმნა და ფუნქციონირება. ასეთია დაცვის ინსტიტუტი.

სახელმწიფოში არ შეიძლება ადამიანის და მოქალაქის უფლებებზე მაღლა იდგეს სხვა ღირებულება, ადამიანის უფლებათა უპირატესობა ეროვნების უფლებებზე წარმოადგენს თავისუფალი საზოგადოების არსებით ნიშანს.<sup>1</sup>

XIX საუკუნის ბოლოს ცნობილი რუსი იურისტი ე.ვ.ვასკოვსკი წერდა: “სისხლის სამართლის პროცესში და სამოქალაქო სამართალწარმოებაში სამართალმქომაგე მოქმედებს საზოგადოების მიერ მიცემული უფლებამოსილებით და მის ინტერესში, როგორც საზოგადოების რწმუნებული. ადვოკატის აღიარება საზოგადოების რწმუნებულად და არა კერძო პირთა აყვანილ დამხმარედ აძლევს ადვოკატურას არსებობის უფლებას და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება დამტკიცდეს მისი აუცილებლობა”<sup>2</sup>.

დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა, ცხადია, ეთანხმება ადამიანის პატივს, ღირსებას, თავისუფლების და ხელშეუხებლობის დაცვის ამოცანებს. ამიტომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ პრინციპებს წარმოადგენს გარანტირებული დაცვის უფლება, რაც აძლევს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს შესაძლებლობას როგორც დამოუკიდებლად, ისე დამცველის მეშვეობით ამტკიცოს თავისი არაბრალებულობა. დაცვის უფლების რეალიზება სისხლის სამართალწარმოებაში ხდება ძირითადად დამცველის პროცესუალური საქმიანობის მეშვეობით. დამცველი ასრულებს სოციალურად მეტად სასარგებლო ფუნქციას, რომლის სწორად და წარმატებით განხორციელებაში დაინტერესებულნი არიან არა მარტო კერძო პირები, არამედ მართლმსაჯულების ორგანო, სახელმწიფო და საზოგადოება.

დამცველი, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სისხლის სამართლებრივი ინტერესი საქმეში, ახორციელებს განსაზღვრულ პროცესუალურ ფუნქციას და მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები თავისი პროცესუალური ფუნქციისა და ინტერესების განხორციელების მიზნით.

იურიდიულ ლიტერატურაში ხანგრძლივი დაცვაა დამცველის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ. პროცესუალურ მდგომარეობაში იგულისხმება დამცველის საპროცესო უფლება – მოვალეობები, კომპეტენცია, მისი როლი და დანიშნულება სისხლის სამართალწარმოებაში. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით გამოვიკვლიოთ დამცველის პროცესუალური მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოებაში მხოლოდ მისი როლისა და დანიშნულების თვალსაზრისით.

საპროცესო სამართლის თეორია შიდამცველის პროცესუალური მდგომარეობა განიმარტება მრავალმხრივ. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დამცველი ბრალდებულის წარმომადგენელია; ავტორთა ჯგუფის აზრით, დამცველი აერთიანებს პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტის უფლებამოსილებას ბრალდებულის წარმომადგენლის უფლებამოსილებასთან; ავტორთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ დამცველი სასამართლოს თანაშემწერა და ეხმარება მას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. პირველ რიგში განვიხილოთ ეს მოსაზრებები.

ი.მ.კისენიშვილის აზრით, დამცველი – ბრალდებულის წარმომადგენელია, მსგავსად იმისა, რომ ადვოკატი, რომელიც იცავს დაზარალებულის ინტერესებს დაზარალებულის წარმომადგენლად იწოდება.<sup>3</sup>

<sup>1</sup> В.И.Сергеев. Адвокат и адвокатура. М., 2003, с.15.

<sup>2</sup> ов. Е.М. Смирнова. Адвокатура. Учебное пособие. Санкт-Петербург, 2002, с.7.

<sup>3</sup> Киссенишский И.М. Деятельность адвоката по уголовным делам. В кн. Адвокатура СССР, М., 1971, с. 69.

მ.სტროგოვიჩი აღნიშნავდა, რომ დამცველს ირჩევს ბრალდებული და იგი საქმეში მონაწილეობს მანამ, სანამ მას ბრალდებული ეწოდება, ხოლო საქმიდან გამოდის იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული უარს იტყვის დამცველზე. ადვოკატს, რომელიც გამოდის დაზარალებულის მხარეს კანონი პირდაპირ უწოდებს დაზარალებულის წარმომადგენელს, ამიტომ დამცველი, რომელიც გამოდის ბრალდებულის მხარეს უნდა განვიხილოთ როგორც ბრალდებულის წარმომადგენელი.<sup>4</sup>

ე.ა. მატვიენკოს აზრით, დამცველი გამოდის სასამართლოში არა როგორც განსასჯელის წარმომადგენელი, არამედ როგორც დაცვის მხარის წარმომადგენელი. ის სასამართლიში მოქმედებს არა განსასჯელის სახელით, არამედ თავისი სახელით. ამიტომ არ შეიძლება დამცველი ბრმად მიჰყვეს დასაცავის მოთხოვნებს. არ შეიძლება გავაიგივოთ დამცველის პროცესუალური ქცევა დასაცავის ქცევასთან.<sup>5</sup>

ე.დ.ადამენკოს აზრით, დამცველი ბრალდებულთან შინაგანი ურთიერთობის თვალსაზრისით ბრალდებულის წარმომადგენელია, გარეგანი ურთიერთობის გათვალისწინებით, კერძოდ, პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან ურთიერთობის თვალსაზროსით კი ის არის პროცესის სპეციფიკური მონაწილე.<sup>6</sup>

ა.კოშევნიკოვი უფრო კატეგორიულია და აცხადებს, რომ “დაცვა” და “წარმომადგენლობა” ეს არის ორი განსხვავებული, დამოუკიდებელი ინსტიტუტი და ამ სამართლებრივი ცნებების აღრევა დაუშვებელია. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ “დაცვა”, არის სუფთა სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტი, “წარმომადგენლობა” კი შერეული, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების სამოქალაქო – სამართლებრივი მეთოდის ელემენტებს. რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს წარმომადგენლობის განმარტებას და ეს ტერმინი განმარტებულია სამოქალაქო სამართალში, იგი სწორედ სამოქალაქო – სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა იყოს გამიყენებული.<sup>7</sup> ვ.დ.ადამენკო არ ეთანხმება ამ ორი ცნების ასეთ მკვეთრ გამიჯვნას და აღნიშნავს, რომ მართალია ორივე დამოუკიდებელი ინსტიტუტია, მაგრამ მათი დაპირისპირება არ შეიძლება, პირიქით, წარმომადგენლობა განკუთვნილია ბრალდებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.<sup>8</sup>

ი.ი.სტეცოვსკის აზრით, არსებობს საკმარისი საფუძველი სამცველი მივიჩნიოთ მრალდებულის წარმომადგენლად, რადგან მოწოდებულია აღმოუჩინოს მას იურიდიული დახმარება, გამოიყენოს კანონში არსებული ყველა საშუალება და ხერხი ბრალდებულის ბრალის გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გამოსავლინებლად. მაგრამ ამავე დროს ი.სტეცოვსკი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართალწაროებაში დამცველი მოქმედებებს თავისი სახელით. ის არა მხოლოდ ბრალდებულის წარმომადგენელია, არამედ თვითონ მხარე, რომელიც ახორციელებს უფლებების რეალიზაციას ბრალდებულისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის მიზნით.<sup>9</sup>

<sup>4</sup> Стrogович М.С. Курс советского уголовного процесса, т.1, 1968, с.245.

<sup>5</sup> Е.А.Матвиенко. Судебная речь. Минск, 1972, с.44.

<sup>6</sup> В.Д. Адаменко. Процессуальные положения защитника обвиняемого, проблемы охраны прав и интересов граждан в сфере борьбы с преступностью. Иванова, 1980, с. 432-442.

<sup>7</sup> А.В.Кожевников. Адвокат – представитель потерпевшего, гражданского истца, гражданского ответчика в совеском уголовном процессе. Автореф.дисс.канд.юр.наук, Свердловск, 1974, с.10.

<sup>8</sup> В.Д. Адаменко. Сущность и предмет защиты обвиняемого. М., 1983, с.93.

<sup>9</sup> Стесовский Ю.И. Уголовно – процессуальная деятельность защитника. М., 1982, с.11; Советская адвокатура. М., 1989, с.235-236.

ი.პერღოვის აზრით, დამცველი სასამართლოს თანაშემწეა, იგი ეხმარება სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში, ზუსტად და სწორად გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი, განსასჯელს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი, გაამართლოს არაბრალეული, რომელიც უკანონოდ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.<sup>10</sup> სასამართლოს ამოცანაა ჭეშმარიტების დადგენა. ამაში მას ეხმარება ბრალდებული და დამცველი. ამ გაგებით ისინი, ცხადია, წარმოადგენენ სასამართლოს თანაშემწეს. დამცველი სასამართლოში მონაწილეობს იმისთვის, რომ განახორციელოს განსასჯელის დაცვა და ამით ის ეხმარება სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში.<sup>11</sup>

ი.ლ. პეტრუხინის აზრით, დამცველი არ არის სასამართლოს “თანაშემწე”, მისი ამოცანა არ არის სასამათლოსათვის ხელშეწყობა, არამედ ის პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის. მაგრამ ობიექტურად ასეთი საქმიანობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებას. ისევე როგორც დამცველის წონაშე არ შეიძლება იდგეს ზოგადად კანონიერების განტმკიცების ამოცანა, თუმცა დამცველის საქმიანობა ხელს უწყობს კანონიერების განმტკიცებას.<sup>12</sup>

ლ.სტეშენკოს და გ.შამბას აზრით, დამცველი წარმოადგენს ბრალდებულის წარმომადგენელს.<sup>13</sup> ავტორთა ცალკეული ჯგუფის აზრით დამცველი წარმოადგენს ბრალდებულის ინტერესებს და იმავდროულად იგი სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია.<sup>14</sup> ავტორთა ნაწილი თვლის, რომ დამცველი სისხლის სამართალწარმოების მონაწილეა, მაგრამ წარმოადგენს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ინტერესებს.<sup>15</sup> ავტორთა ნაწილს მიაჩნია, რომ დამცველი სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია, იგი არ არის დამოუკიდებელი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უკანონო და დაუსაბუთებელ მოსაზრებაზე.<sup>16</sup> ი.ლუბშევის აზრით, დამცველის პროცესუალური მდგომარეობა ეს არის ერთობლიობა მხოლოდ კანონში განმტკიცებული მისი პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობებისა.<sup>17</sup>

დამცველის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ მოყვანილი განმარტებები პროფ. ვ.სერგეევისათვის მიუღებელია, რადგან ისინი არ შეიცავენ პასუხს კონცეფტუალურ საკითხებზე – იმაზე, თუ რას წარმოადგენს მოცემული სტატუსი, რატომ არის დამცველი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტი ან დასაცავის წარმომადგენელი, სად არის განმტკიცებული მისი მდგომარეობა.<sup>18</sup>

პოლონელი პროცესუალისტების აზრით დამცველი არ წარმოადგენს მხარეს პროცესში, რადგან იგი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის არ იბრძვის და არ მოქმედებს საკუთარი სახელით. ამ საკითხზე ერთგვაროვანი აზრი არსებობს. შემდეგ კი შეხედულებები იყოფა. ავტორთა ნაწილი თვლის მას ბრალდებულის წარმომადგენლად, სხვები კი ბრალდებულის დამხმარედ. ამ უკანსკნელ მოსაზრებას

<sup>10</sup> Перлов И.Д. Защита и правосудие. В кн. Роль и задачи советской адвокатуры. М., 1972, сю 125, 139.

<sup>11</sup> Ю.И. Стецковский. Адвокат в уголовном судопроизводстве. М., 1979, с.61.

<sup>12</sup> Петучин И.Лю Адвокатура в Российской Федерации. В кн. Правоохранительные органы Российской Федерации. М., 1996. с.236.

<sup>13</sup> Стешенко Л.Аю Шамба Т.М. Адвокатура в Российской Федерации. Учебник для вузов. М.. 2001, с.198.

<sup>14</sup> Советский уголовный процесс. Под ред. Л.М. Карневой, П.А. Щупинской И.В. Тыричева. М., 1980, с. 110.

<sup>15</sup> Уголовно – процессуальное право Российской Федерации. Под ред. П.А. Лупинской, М., 1997, с. 76.

<sup>16</sup> Уголовный процесс, под ред.К.Ф. Гуценко. М., 2000, с.119.

<sup>17</sup> Лубшев Ю.Ф. Адвокатура в России. М., 2001, с.665.

<sup>18</sup> Адвокат в уголовном процессе. под ред. В.Н. Сергеева, М., 2004, с.12.

ემხრობა ა.მოჟინოვსკი, რადგან მისი აზრით, ბრალდებულის დამხარის მდგომარეობა ადექვატურია პროცესში დამცველის მიერ განხორციელებული როლისა.<sup>19</sup>

გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში არსებობს მოსაზრება, რომ დამცველი ბრალდებულის თანაშემწეა. ერთერთი თეორიით კი დამცველი არის სამართალმექომაგე. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პროცესუალურ ლიტერატურაში ცნება „სამართალმექომაგე“ გამოიყენება როგორც ტექნიკური ტერმინი. დამცველის სამართლებრივი მდგომარეობა თავისი შინაარსით სცილდება იმ დახმარების ფარგლებს, რასაც უწევს მას სამართალმექომაგე.

გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში გაბატონებულ კონცეფციას წარმოადგენს ის, რომ დამცველი განიხილება როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ორგანოს წარმომადგენელი. ამ კონცეფციას იზიარებენ ცნობილი გერმანელი პროცესუალისტები მიტტერმაიერი, ზაქარია, იაგუში, ფრიდმანი და სხვა. მაგალითად, მ. ფრიდმანმა პირველმა გამოიკვლია ეს პრობლემა და დასაბუთა დამცველის საჯარო - სამართლებრივი მდგომარეობა გამომდინარე საჯარო ინტერესების დაცვის მოვალეობიდან. ის დამცველს უწოდებდა. „საჯარო სამსახურის მატარებელს“, „საჯარო სამართლის ორგანოს წარმომადგენელს“<sup>20</sup>

ამ კონცეფციის ასახსნელად არსებობს სამი ვარიანტი:

1. დამცველი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი. ამ იდეის ავტორები თვლიან, რომ დამცველის საქმიანობის საჯარო - სამართლებრივი კომპონენტები გადააქცევს მას სახელმწიფო ორგანოდ. დამცველის საქმიანობა განიხილება, როგორც საჯარო-სამსახურებრივი მოვალეობა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნოშები: ბრალდებულისა და დამცველის თანასწორობა; ფორმალური დაცვის დამოუკიდებლობა; სასამართლოში ფორმალური დაცვის აუცილებლობა.

2. დამცველი არის სისხლის სამართალწარმოების ორგანოს წარმომადგენელი, რასაც ასაბუთებს ის, რომ დამცველი დავალებას ღებულობს დაცვისაგან - და იგი ღებულობს მონაწილეობას საჯარო - სამართლებრივ ურთიერთობებში ზუსტად რეგლამენტირებული უფლებებითა და მოვალეობებით.

ეს შეხედულება განვითარდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში და გაბატონებულ თეორიად რჩება დღემდე. ამ შეხედულების მიხედვით დამცველის სამართლებრივი მდგომარეობა უკავშირდება მის დამოუკიდებლობას, ჭეშმარიტების ძიების მოვალეობას, თავისი შინაგანი რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედების დაუშვებლობას.

3. დამცველი სისხლის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილია. ამ შეხედულების მიხედვით დამცველი არ წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს, არამედ მხოლოდ მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში, შედის საჯარო - სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელშიც მისი უფლება-მოვალეობანი მკვეთრად არის განსაზღვრული. სისხლის სამართალწარმოებას არა აქვს თავისი ორგანოები, არამედ ორგანოები აქვს სახელმწიფოს. დამცველი არ შეიძლება იყოს ორგანო, ისევე როგორც განსასჯელი ან კერძო ბრალდებული.<sup>21</sup>

<sup>19</sup> Право обвиняемого на защиту в социалистическом уголовном процессе. М., 1983, с.112 – 113.

<sup>20</sup> Б.А. Филимонов. Защитник в германском уголовном процессе. М., 1997, с.20.

<sup>21</sup> об. Б.А. Филимонов. Защитник в германском уголовном процессе. М., 1997, с.20

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ დამცველი არის ხელისუფლების სოციალურ - პოლიტიკური მოწინააღმდეგე. ამ იდეის მომხმარე სოციალ-დემოკრატი იურისტები ვ.ჰოლტფორდი, ჰ.ოსტენ დროფი აღნიშნავენ, რომ სამართალი თავისი არსით არ არის სტატიკური, არამედ იგი ვითარდება ხელისუფლების, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დამცველის საქმიანობაში კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის გაბატონებული კონცეფციის იდეა მიეცუთვნება რომანტიზმის სფეროს და იგი უნდა დაკავალიფიცირდეს, როგორც სახელისუფლო - სახელმწიფოებრივი პოსულატი. მოსამართლე და პროკურორი წარმოადგენენ სახელმწიფო ინტერესებს, ბრალდებული კი იძულებულია დაუპირისპირდეს სახელმწიფოს. ამ შემთხვევაში იგი მიმართავს დამცველის, როგორც საიმედო დამხმარეს, რომელმაც მას მხარი უნდა დაუჭიროს კანონიური საშუალებით.

დამცველის პროცესუალური მდგომარეობის ასეთი განმარტება არ შესაბამება დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს. დამცველი, რომელიც მხოლოდ უპირისპირდება სახელმწიფოს უბრალოდ არ არსებობს. დამცველის საქმიანობის სოციალური გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ის საზოგადოებივად ინტეგრირებულია, იურიდიულ დახმარებას უწევს ბრალდებულს და ამით ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ფუნქციონალურად ძლიერი სისხლის სამართალწარმოება შესაძლებელია მხოლოდ მაინც, როცა დამცველი აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით.

დამცველის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი მიზანი გამოიხატება ჭეშმარიტების ძიების გარანტების გაძლიერებაში. სისხლის სამართლის პროცესში თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც ბრალდებულთა სისხლის სამართლებრივი დევნა და დასჯა, ასევე არაბრალეულთა, ეჭვმიტანილთა დაცვა. დამცველის მდგომარეობას განსაზღვრავს თვით სისხლის სამართლის პროცესი. დამცველი ასრულებს ერთ-ერთ პროცესუალურ ფუნქციას. ის მოვალეა კერძო ინტერესებთან ერთად შეასრულოს სახელმწიფოებრივი ამოცანები. უფრო კონკრეტულად - ვის ინტერესებს იცავს დამცველი პროცესში? მხოლოდ ბრალდებულის კერძო ინტერესებს თუ იგი მოვალეა დაიცვას საჯარო ინტერესები? კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის კონცეფციის პოზიციიდან გამომდინარე წყდება საკითხი მისი შესახებ, თუ ვის შეუძლება განსაზღვროს დაცვის სტრატეგია. თუ დამცველს განვხილავთ როგორც მხარის წარმომადგენელს და ბრალდებულის დამცველს მაშინ დაცვის სტრატეგიებს განსაზღვრავს ბრალდებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ დამცველი მოქმედებს როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესებში, მაშინ მისი მოქმედების საზღვრებს განსაზღვრავს როგორც დასაცავის, ისე სახელმწიფოს მოთხოვნები. უპირველეს ყოვლისა, ასეთი პოზიცია ვლინდება სავალდებულო დაცვის არსებობის შემთხვევებში.

სავალდებულო დაცვის მიზანი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ საჭირო შემთხვევაში, აუცილებლობის შემთხვევაში ვიზრუნოთ საჯარო ინტერესებზე, საზოგადოებრივ ინტერესებზე, სწორედ კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებით რთულ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა მიიღოს კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

დამცველის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზების შედეგად შეიძლება მივიდეთ გარკვეულ დასკვნამდე. წმინდა ტერმინოლოგიური, ადექვატური განმარტებით თუ ვიხელმძღვანელებთ პიროვნების ინტერესების წარმოდგენა გარკვეულწილად მოიცავს

ამ ინტერესების დაცვასაც და პირიქით, დაცვა ყოველთვის გულისხმობს წარმომადგენლობასაც. მაგრამ არ შეიძლება დამცველი ყველა შემთხვევაში განვიხილოთ ბრალდებულის წარმომადგენლად. წარმომადგენელი ხომ ცვლის პირს, მხარეს საპროცესო მოქმედებებში, გამოდის მის ნაცვლად. დამცველი კი მოქმედებს ბრალდებულის გვერდით, მასთან ერთად. დამცველს არ შეუძლია შეცვალოს სასამართლო სხდომაზე არ მისული ბრალდებული, მას არ შეუძლია ბრალდებულის ნაცვლად მისცეს ჩვენება და მით უფრო გამოცხადდეს ბრალის აღიარებით. არ შეუძლია ბრალდებულის ნაცვლად დამცველს წარედგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხიგებაში მიცემის შესახებ; წინასწარი გამოძიების დამთავრებისას გამომძიებელს უფლება არა აქვს საქმის მასალები ბრალდებულის ნაცვლად წარუდგინოს მის დამცველს; საბრალდებო დასკვნის ასლი არ შეუძლება გაეცეს დამცველს განასასჯელის ნაცვლად და ა.შ. დამცველის მონაწილეობა პროცესში ბრალდებულს არ ართმევს უფლებას დამოუკიდებლად განახორციელოს პროცესუულური მოქმედება და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია დამცველს გამოვიდეს როგორც ბრალდებულის წარმომადგენელი. კერძოდ, როცა სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობს ბრალდებულის გარდაცვალების შემდეგ გარდაცვლილი პირის რეაბილიტაციის მიზნით; არგეთვე როცა ბრალდეული იმყოფება საზღვარგარეთ და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას; ან კიდევ, როცა მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შიმცველია და თვითონ შუამდგომლობს მის გარეშე საქმის განხილვას; ასევე იმ შემთხვევაში, როცა წარმომადგენლობა განპირობებულია იმით, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია ან მას ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში წარმომადგენელი მონაწილეობს სამართალწარმოებაში წარმომადგენლის ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

რაც შეეხება მეორე პოზიციას - დამცველი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია, დამცველის დამოუკიდებლობა როგორც კერძო და საჭირო ინტერესების განსაზღვრული თანაფარდობის შედეგი პრინციპში აღიარებულია თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. დამცველს უფლება აქვს და იმავდროულად მოვალეც არის მოიძიოს და გამოავლინოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რაც მიუთითებს ბრალდებულის უდანაშაულობაზე და ცხადია, ამით ხელი შეუწყოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. არ შეიძლება დავეთანხმოთ ლოტერატურაში გამოთქმულ მტკიცებას, თითქოსდა დამცველის საქმიანობის მიზანი და დანიშნულება ყველა შემთხვევაში არის სრული მოცულობის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ჭეშმარიტების დადგენა გულისხმობს საქმის გარემოებებიდან ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულყოფილად გამოკვლევას, მათ შორის ისეთი გარემოებებისა, რომლებიც დამცველისათვის მიუღებელია.

დამცველის საქმიანობის მიზანი მდგომარეობს ბრალდებულის ბრალის გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენაში. სწორედ ამაში გამოიხატება საქმეზე ჭეშმარიტების დადგემნაში მისი როლი და ეს როლი და დანაშაულება იქნება მით უფრო მნიშვნელოვანი, რაც უფრო ენერგიულად და სრულყოფილად შეასრულებს დამცველი თავის ფუნქციას.

დამცველი პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა, მაგრამ მისი დამოუკიდებელი მდგომარეობა ისევე როგორც დამცველის პროცესუალური დამოკიდებლება ბრალდებულთან არ წარმოადგენს აბსოლუტურს. კანონით დამცველისათვის მინიჭებული უფლებების ერთობლიობა თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის,

ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვისათვის განსაზღვრავს მის კავშირს უკანასკნელთან, აყენებს მას განსაზღვრულ დამოკიდებულებაში.

შეუძლებელია ვისაუბროთ ბრალდებულისაგან დამცველის აბსოლუტურ დამოუკიდებულებაზე, რადგან მხოლოდ ბრალდებულის სურვილის არსებობისას მონაწილეობს დამცველი საქმეში და ნებისმიერ მომენტში მას უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე. იურიდიული კავშირი ბრალდებულსა და დამცველს შორის არსებობს პროცესის ყველა სტადიაზე.

როდესაც ვსაუბრობთ დამცველის პროცესუალურ დამოუკიდებლობაზე ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მსჯელობა ფაქტებისა და კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა მოწმე ის არ ყოფოლა. ამ მხრივ დამცველმა არ შეიძლება დასაცავზე მეტი იცოდეს. აյ საუბარია დამცველის პროცესუალურ დამოუკიდებლობაზე საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებასთან მიმართებაში, დაცვის სამართლებრივი და ტაქტიკური საკითხების შერჩევის თავისუფლებასთან მიმართებაში, დანაშაულის კვალიფიკაციის, დაცვის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის, მოსამართლეთა აცილების შესახებ განცხადების წარდგენის საკითხებში დამცველი დამოკიდებელი არ არის დასაცავის ნების გამოვლინებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესუალური დამოუკიდებლობის საკითხი დგას პროცესის ყველა სტადიაზე. წინასწარ გამოძიებაში დამცველის პროცესუალური დამოუკიდებლობა ვლინდება საქმის მასალების გაცნობაში, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების სისრულის და კანონიერების შესახებ, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საკმარისობის, დასაშვებითობის და შესახედობითობის საკითხის განხილვაში და შეფასებაში; გამოძიების შევსების მიზანით შუამდგომლობის დაყენების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში და ა.შ. სასამართლო განხილვის სტადიაზე კი დამცველი დამოუკიდებელია მტკიცებულების შეფასების, ქმედების კვალიფიკაციის, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასახელებული (შერჩეული) სასჯელის სამართლიანობის შეფასებაში და ა.შ. უნდა ითქვას, რომ დამცველი დამოუკიდებელია საქმის სამართლებრივი საკითხების შეფასებასა და გადაწყვეტაში.

რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის თვით ფაქტს, ამ საკითხში, ცხადია, არ შეიძლება დამცველის პოზიცია ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის პოზიციას. თუ ბრალდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ, სადაოდ ხდის მასზე წაყენებული ბრალდებას, დამცველი მოვალეა გამოავლინოს ისეთი გარემოები და მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ წაყენებულ ბრალს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვის ფუნქცია არ იქნება განხორციალებული.

აღნიშნულ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ა.ბოიკოვი თვლის, რომ როდესაც ბრალდებული უარყოფს ბრალდებას, ადვოკატს კი ის დადასტურებულად მიაჩნია, ადვოკატს უფლება აქვს სასამართლოს წარუდგინოს თავისი მოსაზრებები შემამსუბუქებელ გარემოებებზე ან იურიდიული კვალიფიკაციის შეცვლაზე, რაც ბრალდებულის პოზიციისაგან განსხვავებულია. ამ მოსაზრებას იზიარებენ ი.კოკორევი, ა.ციპკინი, ი.პეტროვი, ტ.სოკოლოვი, ა.ტუბინი, და სხვები.<sup>22</sup>

ა.სუხარევის აზრით, დამცველის შინაგანი რწმენა განსასჯელის ბრალეულობის შესახებ არ შეიძლება წინ უსწრებდეს სასამართლოს განაჩენს. არ შეიძლება განსასჯელს

<sup>22</sup> об. Проблемы совершенствования уголовно – процессуального законодательства, Свердловск, 1985, с. 70.

ჩამოერთვას დაცვის უფლება და დამცველს კი მიეცეს უფლება ამტკიცოს განსასჯელის ბრალი.

ი.სტეცოვსკის აზრით, თუ დამცველი რჩება პროცესში მაგრამ არ იზიარებს ბრალდებულის პოზიციას, არ თვლის მას არაბრალეულად და ითვლება მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოებებით, ამით იგი ეთანხმება ბრალდებას და შეუცნობლად იქცევა ბრალდებელად. ამიტომ დამცველი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმოს ბრალდებას თუ მას უარყოფს ბრალდებული, მან სადაოდ არ უნდა გახადოს ბრალდებულის პოზიცია, პოლემიკა არ უნდა გამართოს მასთან.<sup>23</sup>

მითითებული ავტორების უმრავლესობის მოსაზრების ძირითადი არსი მდოგმარეობს შემდეგში: პროკურორს შინაგანი რწმენა განსასჯელის ბრალდებულობის შესახებ აძლევს უფლებას მას ბრალი დასდოს, მაშინ დამცველსაც შინაგანი რწმენა განსასჯელის ბრალეულობის შესახებ აძლევს უფლებას თავისი შინაგანი რწმენის შესახებ განაცხადოს სასამართლოში. ე.ი. დამცველი გადადის ბრალმდებლის პოზიციაში და განსასჯელი რჩება დაცვის გარაშე. იურიდიული და ეთიკური თვალსაზრისით იქმნება არაორდინალური მდგომარეობა. სასამართლო განხილვაში ეჯიბრებიან არა პროკურორი და დამცველი, არამედ პროკურორი, დამცველი ერთი მხრვ და განსასჯელი მეორე მხრივ.

პოზიციებს შორის უთანხმოების გამორიცხვის მიზნით დამცველმა ბრალდებულს უნდა გააცნოს საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემების თაობაზე თავისი დამოკიდებულება, თავისი მოსაზრება, დასახოს ურთიერთმისაღები გეგმა, განიხილოს იგი დასაცავთან და შეათანხმოს მასთან თავისი ტაქტიკური ხაზი და მეთოდიკა. უთანხმოებისას დამცველმა უნდა დაარწმუნოს ბრალდებული, რომ მისი პოზიცია არასწორია, აჩვენოს მისი ძალისხმევის უშედეგობა, დააყენოს იგი სწორ გზაზე. ცხადია, დამცველმა უნდა დაარწმუნოს დასაცავი და არა აიძულოს იგი. თუ უთანხმოება არ აღმოიფხვრება დამცველმა უნდა შეახსენოს დასაცავს თავისი უფლება უარი თქვას მასზე და მოიწვიოს სხვა დამცველი.

დამცველი საქმეში მონაწილეობს თავის დასაცავთან ერთად. უდავოა, რომ დამცველი დამოკიდებულია დასაცავას ნებაზე ბრალდების ფაქტთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე საუბარი შეიძლება მხოლოდ დამცველის შეზღუდულ პროცესუალურ დამოუკიდებლობაზე. წარმოდგენა დამცველის სრულ პროცესუალურ დამოუკიდებლობაზე არ ეფუძნება კანონს.

პრაქტიკაში შესაძლებელია ისეთი შემთხვევების არსებობაც, როდესაც ბრალდებული წინასწარ გამოძიებაში და სასამართლოში თავს არ ცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო თავის დამცველთან პირისპირ შეხვედრის დროს აღიარებს დანაშაულის ჩადენას. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს დამცველი?

ამ საკითხზეც იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი აზრი ჩამოყალიბებული. ავტორთა ნაწილის აზრით დამცველს არა აქვს უფლება სთხოვოს სასამართლოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამათლება, თუ მისთვის ბრალდებულის ბრალეულობა წინასწარ ცნობილი არ იყო. (პ.ელკინდი, ნ.კონი, ე.ზაიცვი).

ავტორთა ნაწილის აზრით კი ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საიდუმლოს შენახვის მოვალეობას (გ.პაინი).

<sup>23</sup> Смецовский, Ю.И. – Советская адвокатура, М., 1989, с.239.

ცნობილია, რომ კანონი დამცველისაგან მოითხოვს დაცვის ფუნქციის შესრულებას მხოლოდ პროცესუალური წესით დადგენილი ბრალდების სასარგებლო ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება დამცველთან განმარტებით არამცთუ არ წარმოადგენს საქმეზე პროცესუალური წესით დადგენილ ფაქტობრივ მონაცემს, იგი არც შეიძლება გახდეს ასეთი, რადგან კანონით აკრძალულია მოწმის სახით დამცველის დაკითხვა იმ გარემოებებზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დამცველის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო თვით დამცველს არ შეუძლია შეასრულოს საგამოძიებო - საპროკურორო ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულება პროცესში სხვა პირებს აკისრიათ.

აღსანიშნავია, რომ დაცვის ძირითადი ხაზის შერჩევაში დამცველის პროცესუალური დამოუკიდებლობის საკითხი სხვაგვარად წყდება იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელი ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. თეორიასა და პრაქტიკაში მიღებულია, რომ კრიტიკულად იქნეს გამოკვლეული ასეთი აღიარება. ცნობილია, რომ ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ წარმოადგენს პრიორიტეტულს, სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში. არც ერთ მტკიცებულებას ცალკე აღებულს არა აქვს წინასწარ განსაზღვრული ძალა. ყველა მტკიცებულება ფასდება ერთმანეთთან ურთიერთვავშირში. ამიტომ როცა ბრალის აღიარებას აქვს ადგილი ასეთ საქმეზე სავალდებულოა მტკიცებულებათა მთელი კომპლექსის არსებობა და დანაშაულის შესახებ ყველა შესაძლებელი ვერსიის შემოწმება.

ბრალდებულის, განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, დაშინებით, მუქარით, ძალადობით, უიმედობით და ა.შ. ზოგჯერ ბრალდებული, განსასჯელი თავისთავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს იმის გამო, რომ ვერ ხედავს თავისი არაბრალელობის მტკიცების რეალურ პერსპექტივას, კარგავს რწმენას მართლმსაჯულების სამართლიანობაში. ამიტომ თუ დამცველმა გამოავლინა აღიარების უარმყოფელი მტკიცებულებები უნდა ამტკიცოს აღიარების არამართებულობა და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა არ იყოს დაშვებული სასამართლო შეცდომები განსასჯელის საზიანოდ. დასაცავსა და დამცველს შორის პოზიციებში ასეთი განსხვავება სავსებით მართზომიერია, რადგან ის დაფუძნებული კანონის მოთხოვნაზე, რაც ავალდებულებს დამცველს გამოავლინოს დასაცავისათვის ყველა სასარგებლო გარემოება.

როცა ბრალდებული ცნობს თავს დამნაშავედ და დამცელი კი არ ეთანხმება მას, არ არსებობს არც იურიდიული, არც ეთიკური საფუძველი დავავალდებულოთ დამცველი დადგეს განსასჯელის პოზიციაზე. ასეთ შემთხვევაში განსასჯელი არ რჩება დაცვის გარეშე. პირიქით, ძლიერდება მისი დაცვა, ე.ი. ამ მომენტში დასაშვებია კოლიზია დასაცავს და დამცველს შორის, რაგან დამცველის ასეთი პოზიცია შეესაბამება განსასჯელის ინტერესებს და მის როლს სისხლის სამართლის პროცესში.

დაბოლოს შევეხოთ დამცველის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში არსებული მესამე პოზიციას - დამცველი, როგორც სასამართლოს თანაშემწე.

ცხადია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დამცველი ეხება სასამართლოს მართლმსაჯულების განხილული დამცველის განხილული მაგრამ ეს დახმარება ზოგადი ხასიათის კი არ არის და დახმარების სხვადასხვა სფეროებს კი არ მოიცავს, არამედ მას აქვს აშკარად გამოკვეთილი კონკრეტული ხასიათი. კერძოდ, დამცველი ეთანხმება სასამართლოს მხოლოდ და მხოლოდ განსასჯელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის

კუთხით. დამცველის მიერ სასამრთლოსათვის გაწეული დახმარება არის ცალმხრივი. დამცველი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რაც განსასჯელისათვის სასარგებლოა, ამტკიცებს წარმოდგენილი ბრალდების დასაბუთებულობას ან მისი ბრალის დაბალ ხარისხს. მაგრამ დამცველი თავისი ცალმხრივი საქმიანობით ხელს უწყობს საქმის გარემოების ყოველმხრივ გამოკვლევას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. დამცველი ეხმარება სასამართლოს თავიდან იყოს აცილებული არა საერთოდ შეცდომები მართლმსაჯულების განხორციელებისას, არამედ ის შეცდომები, რომლითაც დაზარალდება ბრალდებული და გაუარესდება მისი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე დამცველის საქმიანობა ატარებს როგორც კერძო, ასევე საჯარო ხასიათს და მისი დახმარება აუცილებელია არა მხოლოდ ბრალდებულისათვის, არამედ მართლმსაჯულებისათვის, რადგან მისი მიზანია ბრალდებულის საზიანოდ შესაძლებელი შეცდომების თავიდან აცილება და ჭეშმარიტების დადგენა საქმის გარემოებების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გზით. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დამცველი გამომძიებლის დამხმარე ან სასამრთლოს თანაშემწერა, რადგან ეს გარემოება უკანა პლანზე გადასწევს დამცველისა და ბრალდებულის ურთიერთობას.

დამცველსა და ბრალდებულს შორის მტკიცე პროცესუალური კავშირის არსებობა განპირობებულია ერთიანი პროცესუალური ინტერესისა და ერთი პროცესუალური ფუნქციის - დაცვის ფუნქციის არსებობით. ყოველივე ეს კი განაპირობებს დამცველის პროცესუალური მდგომარეობის სპეციფიკას.

---

სტატია მიღებულია: 2005-04-28